





სა და ქართველ საზოგადოებას თითქოს ურთიერთისა არა გაეგებოდა — არ... და მართალი უნდა ითქვას ხშირად არტუთ ჩვენი თეატრი იღვა თავის ღირსეულ სიმამლღზე... აქ მხოლოდ „გმირები“, „ღვდაბომნი“ ბატონობდენ, შეთანხმებულობა, ერთსულოვნობა სანთლით საქმბარი იყო... ეს დროც განქრა...

ქართულმა თეატრმა უკვე მიაგნო თვის ქეშმარიტს ასპარეზიონს — მდაბიო ხალხის გულს, დემოკრატიას, ნამდვილ ქართველ საზოგადოებას და მით მეკიდრი ნიადაველ მოიპოვა, ხოლო ქართული სასცენო ხელოვნება გამოერკვია ბურჟუდიან და ახალს გზას დაადგადღეს საქართველოს დაბა - ქალაქებში დამოუკიდებელნი წრენი მუშაობენ და შორს აღარაა ის დრო, როდესაც სოფლებშიც-კი აღორძინდება სასცენო საქმე... და ჩვენი ხალხის კულტურული ამალღება — გათვითცნობიერებაც აქედან დაიწყება...

ქართულ სასცენო საქმის გაფართოებას-კი ესპორება ერთი გამაერთიანებელი ძაფი, ერთი ღედა-აზრით მოქმედება...

ჩვენი ჟურნალი მთელის თვისის ძალღონით ემსახურება ამ საქმეს... მაგრამ მასთან სათანადო ყურადღებას მიაქცევს ხელოვნებისა, მწერლობისა და მეცნიერების ყოველ დარგს...

ჩვენს სამშობლო სცენასა და მწიგნობრობასთან ერთად შესაფერ ადგილს დაუთმობს ჩვენის მეზობლთა — სომეხთა, თათართა, ოსთა, აგრედვე რუსთა და უცხოელთა სამწიგნობრო თუ სასცენო ცხოვრების შესახებ ცნობებს...

ხელოვნება, მწერლობა, თეატრი, მეცნიერება ყველასთვის ერთნაირად ძვირფასად მიგვაჩნია, ვიწრო პარტიულობის გარეშე მდგომარედ, და ამიტომაც გვგონია. ყველა დაგვემარება ჩვენის ხალხის საკეთილდღეო სამსახურის პირნათლად შესრულებაში...

დაე, ამ სფეროში მაინც ვიგრძნოთ თავი სრულ ქმნილებად და ყოველგვარ ჟანგ-ხავსიდან განწმენდილად...

მიმივე ჩვენი სავალი გზა, მაგრამ რწმენა წმინდის საქმისა და ჩვენის მკითხველ-თანაშრომელთა თანგრძნობა გვაბედინებს ამ საქმეს ჩვეულებრივის ხალხით შევუდგეთ...

სალამი შენდა ჩემო სამშობლო სცენავ და ძვირფასო მკითხველო!...

\* \* \*

მე სამკიდრებელს აქ არ დავეძებ, სხვაგვარი მივის ამისთვის გზები: მიმირბის სული, სული ღტოლოვილი და მეც მივდივარ... აქ არა ვრჩები!

არსება ჩემი მონად ვინ აღთქვა, დასაბამიდან აღსასრულისად? დაე, მონობამ მოცაჰკლას ხორცნი, ხოლო არ ძალუძს მოკვლად სულისად!

ვიყავით მარხვად, მე და შენ სულო, სულო აღდგომა მარხვას მიებას! — ვიდრე სიცოცხლე დავგტოვებს ჩვენა, ნუ ჩვენ დავტოვებთ ღტოლოვ-ძიებას!

ბაბილინა

# პატარა წერილი

მოქმეცით მაღალი მთის მწვერვალს თავზე დაივიწყეთ აღამიანთა ცხოვრება, შური მტორობით, ვესლით სავსე; თვალი ვადაავლე ქვეყანას და ბუნებას.

თუ გრძნობა მწვენიერებისა სრულებით აწაუშლია თქვენში ყოველდღიურ შხამს, პოეტ თან ერთად წამოიძახებთ:

ამაზე ტურფა და კარგი მე სხვა აღარა მგონია!

ქვეყანა დიდია და ლამაზი, ბუნება მრავალფეროვანი ტ ტურფა, სამყარო დაუსრულებელი და დიადი.

ჩვენი ცხოვრება ხანმოკლეა, ვითა სიზმარი; მიუხედავად ამისა ის მწვენიერია; ჩვენი სიცოცხლე ელეაა, ელვასავით მაღლე ჰქრება; მაგრამ ის ელვასავით ლამაზია.

თანამედროვე აღამიანი დასწეულდა, მოიწამლა; სიცოცხლე მას საშინელ მახლაჯუნად გადაქცევი; სიღამაზე ცხოვრებისა მას სრულებით დაუმახინჯებია. დაღის ის დაღვრემილი; კი არ სუნთქავს, ხვნეწის; აღარ იღიმება, — პირქუშია.

ბერძნებს, რომაელებს, ფრანგებს (რევოლუციის ხანაში) იმდენად უყვარდათ სიცოცხლე, რომ სიკვდილის დროსაც კი იღიმებოდენ და ოხუნჯობდენ.



ჩვენ კი სიკოცხლეშიც ვეღარ ვიღივებთ და ვეღარ ვოხუნჯობთ; ჩვენი სული და გული მოშხაპულია და ყველგან შხამს ვავრცელებთ.

სიბრაზემ, სიძულელივით და ბოროტებამ სრულიებით განდევნა ჩვენი გულიდან სიყვარული; სხვისი შეურაცხყოფა, სხვისი დამცირება, გალანძღვა — აი ჩვენი ხელობა.

ცხოვრება ბრძოლაა. სპარტანელები ბრძოლის წინ გარეგნობას ილამაზებდნენ, თმებს ივარცხნიდნენ კოხტად.

ჩვენ-კი ლანძღვა და გინება ბრძოლად გამოვიტანეთ და ჩვენი სიგლახე გმირობა გვეკონია.

ასეუ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხელოვნებას, — ის ჰფანტავს სევდისბურუსს, ადამიანის დამწუხრებულს გულს მალამოდ ევლინება და სულს ახალისებს; უიმედობასა და სასოწარკვეთილებას სპობს და იმედს, აღფრთოვანებას, გატაცებას, სიყვარულს, რწმენას გზას უკაფავს.

ერთი-მეორის ლანძღვა-გინების პუბლიცისტიკამ ჩვენში ხელოვნება შთანთქა, ხალხს კი ხელოვნება, მშვენიერება მოსწყურდა.

არა გვერათ?

აბა გაითვალისწინეთ „სინათლის“ წარმოადგენები.

მოხდა ის რაც არასოდეს არ მომხდარა ქართულ სკენაზე: ერთი-და-იგივე პიესა თოთხმეტჯერ დადგეს და კიდევ ამდენჯერ რომ დადგან, მაინც გატენილი იქნება ხალხით.

რითი აიხსნება ასეთი დაუჯერებელი ამბავი? მარტო პიესის ღირსებით?

სრულიადაც არა.

ხალხს მოსწყურდა ეროვნულ ფორმებში ჩამოსხმული მშვენიერება და ის ხარბად დაეწეფა „სინათლს“.

ამ წყურვილს დაკმაყოფილება უნდა. დღევანდელი ჩვენი ჯიუნალ-გაზეთობა-კი მას ვერ აკმაყოფილებს, რადგანაც მათი უმთავრესი მიზანია პარტიული ბრძოლა.

ამ ბრძოლასაც თვისი გასამართლებელი საბუთი აქვს: ის აუცილებელია, საჭიროა, ხოლო არა ისეთის მიხინჯის სახით, როგორსაც დღეს ატარებს.

მაგრამ მარტო, ეს არა კმარა; საჭიროა, ხელოვნებას თვისი საპატიო ალაგი ჰქონდეს

დათმობილი, და ეს კი დღეს არ არსებობს.

როდესაც უწმაწურ — ქუჩური პუბლიცისტიკის გვერდით ჰკითხულობთ ქუჩიშვილის, გრიშაშვილის, აბაშელის საუცხოო პოეზიას, აზრით, მუსიკით, ტემპერამენტით სავსეს, — პოეზია იჩრდილება, — ის ჯგროვან შთაბეჭდილებას ვეღარ იწვევს.

პუბლიცისტიკა საჭიროა, ფრიად საჭირო. არა ნაკლებ საჭიროა ხელოვნებაც.

ამისათვის კი აუცილებელია ორგანო, რომელიც მარტო ხელოვნებას ემსახურებოდეს.

თუ „თეატრი და ცხოვრება“ ამ გზას დაადგება, მე პირველი ვუსურვებ მას გამარჯვებასა და დღეგრძელობას.



ივ. გომართელი

### მარკვეული თეატრი

თეატრი სახალხო ტრიბუნაა, შკოლაა, სასწავლებელია.

თეატრი ცხოვრების სარკეა — და ვინ არ იცის, რომ სარკე გამასწორებელი იარაღია?

თეატრის დიადი დანიშნულებაა გაავრცელოს და დაამკვიდროს ხალხში ახალი აზრი, იდეა, ახალი ჭეშმარიტება.

თეატრის დანიშნულებაა იყოს წყაროდ ცოდნისა, შეიტანოს ხალხში შეგნება და განათლება, ებრძოდოს უფიცობასა და სიბნელეს, ჰფანტოს გარყენილების ბურუსი, აამაღლოს და დარჯად უდგეს ზნეობას, სთესოს სიკეთე, ჰნერგოს სიყვარული.

თეატრი ხალხის სულიერი კულტურის, განვითარების ერთერთი ძლიერი ფაქტორთაგანია.

ეს შეხედულება თეატრის დანიშნულებაზე მუდამ იყო და არის მისი საუკეთესო მოღვაწეთათვის სახელმძღვანელო პრინციპად.

და, აი, როცა ასეთი მშვენიერი, სეროზული და ფრიად საჭირო დაწესებულება — თეატრი განიცდის კრიზისს, მის ცხოვრება უფერულია და უშინაარსო, მისი როლი-კი უმნიშვნელო და არა — სეროზული და ხშირად სამარცხენოც, რომლისაგანაც წითლ-

დება თეატრის სერიოზული მოღვაწე, — მეტი არ იქნება მასზე ბაასი.

\* \* \*

თეატრი საზოგადოების ოცნების მეგობარია და, თუ რამდენად მჭიდროა ეს მეგობრობა, თუ რამდენად შეესაბამება საზოგადოების ოცნებას, მის ზნეობას თეატრის შინაარსი — ამაზე დამოკიდებული მისი არა თუ აღორძინების, არსებობის ბედ-იღბალიცაა.

ამიტომაც თეატრის მნიშვნელობა, მისი როლი, სხვადასხვა საზოგადოებაში, სხვადასხვა დროს და პირობებში — სხვადასხვა გვაჩვენებს.

საფრანგეთში, — პარიზში, მაგალითად, — თეატრი მისი მცხოვრებლების გახრწნილი ოცნების მონა და ამიტომაც პარიზის თეატრების დიდ უმრავლესობას უფრო შანტანის ხასიათი აქვს, ვიდრე სერიოზული, იდეური დაწესებულების.

იქაურ საზოგადოების ჟინიანი ხასიათი და გარყვნილი ოცნება, რა თქმა უნდა, უშინაარსოა, ტლანქი და თხოულობს სენსაციურ, ნერვების გამაღიზიანებელ სანახაობას (шп.шшш) და, ცხადია, თუ თეატრს, რომელიც ეჭვმდებარება საზოგადოებრივ ფსიხოლოგიას, არ უნდა მასთან კავშირი გასწყვიტოს — უნდა აკმაყოფილოს ეს მოთხოვნა და შეინარჩუნოს მისი მასაზრდოებელის სიმბატია.

ეს არის, ჩვენის აზრით, იმის ნიშეზი, რომ თუმცა ფრანგული თეატრი მდიდარია ყოველის მხრივ, მოძრაობს და მხურვალედ შრომობს, მაინც ვერ აუღის საზოგადოების ჟინს და თითქმის ყოველწლივ იმ საზოგადოების სულისკვეთების გამომხატველი პრესსა სტეხს განვაშს იმაზე, რომ თეატრი კრიზისს განიცდისო.

ასევე ითქმის გერმანელთა თეატრზედაც. იქ საზოგადოება უფრო ზნეობრივად შეზღუდული, უფრო ოცნებით შემოკმედებას მოკლებულია, უფრო ზომიერი — და ამიტომ თეატრის მოძრაობა, მისი განვითარების ტემპი სრულიად შეთანხმებულია ბიურგერთა ფსიხოლოგიასთან.

გერმანელთა თეატრს უფრო დიწჯი, დამჯღარი, ღრმა-ფილოსოფიური ხასიათი აქვს, ის უფრო განვების ნაყოფია, ვიდრე გრძობის და ამიტომაც უფრო მძლავრ სდგას ფრანგულ თეატრზე იდეურად, შინაარსით...

ასევე ითქმის ინგლისის თეატრზე და ყველა იმ თავისუფალი ქვეყნების თეატრებზე, საცა თეატრს, როგორც დიდი ხელოვნების საღაროს ერთ პაწია ნაწილს, უჭირავს თავისი ადგილი და საზოგადოების სულისკვეთების შესაფერად, კეთილსინდისიერად ეწევა მორიგ კულტურულ შრომას: — ეთამაშება, აღვივებს და სათანადო სიამოვნებას ჰგვრის მის მოტრფილეთა ოცნებას.

იქ, სადაც საზოგადოების სხვადასხვა სულიერ მოძრაობას აქვს საშუალება იზოვის გამოსავალი გზა; იქ, სადაც საზოგადოებრივ მისწრაფებათა გამომხატველი საშუალებანი ბევრია, იქ სადაც არ არის შეზღუდული აზრი, შკოლა, ენა, პრესსა და თავისუფლება, — იქ, ვიმეორებ, თეატრს აქვს წმინდა ესთეტიური დანიშნულება და რამდენადაც ფრთაშესხმულია საზოგადოების ოცნება, რამდენად მაღალია მისი ზნეობრივი სიფაქიზე, რამდენად განვითარებული და მთლიანია მისი გემოვნება და ფანტაზია, — იმდენად ამაზე დამყარებული თეატრის შინაარსიანობა, მისი ესთეტიური სისპეტაკე და სანახაობის სიმშვენიერე.

\* \* \*

მაგრამ არის ქვეყნები, სადაც სულის თქმა შეე აუღია, აზრი ცხრაკლიტულში ზის და თავიუღუფებს ჰკორტნის ყორანი...

ენა მუნჯია იქ, მოკლელაქე ტყვესა ჰგავს, ფრთაშესხმულია ბოროტება, და პიროვნება — აღამიანი უარყოფილი...

ლოთობა არის გამოცხადებული გასართობად, მონობა და მორჩილება მოვალეობად, უფიქრბასა და სიბნელეს გუნდრუქს უკმევს საკურთხეველი, მოკლულია პატივისცემა და სიყვარული, ძაძით მოსილია ესთეტიური აღმფრენა...

არიან ქვეყნად ერები, რომელთა შვილებს დედის ძუძუს მაგიერ არა-მკითხე გამოხედლები ზამით კვებავენ, და როცა ბავშვი სტირის, სახესაც მანქავს სიმწარით — ძიძგი ცემით ამშვიდებენ მათ...

არიან ქვეყნად ერები, რომელთა დღიური განაცხადებულთა ნაკადად არის ქცეული და სამარისებური სიწმით მიმდინარეობს, და როგორც მუნჯი ენის მაგიერ მიმიკით ლაპარაკობს ავალებში აკოცონებს სევდას და ნა-



ღველს,—ისე ყველა იმ ერთგანიც სდუმს, სტირის, შავად, ხან წითლად ოცნებობს, და ელის—ელის აღდგომას...

აი, ასეთი ერების ცხოვრებაში თეატრს აქვს სხვა დანიშნულება. იქ, სადაც ადამიანის სულიერი მოძრაობის გამოხატველი ყველა გზები დახშულია, უარყოფილია მოქალაქე და დაღუპებულია ენა,—იქ უნდა აღაპარაკდეს, ამქვერმეტყველდეს ხელოვნება, იქ, ხელოვნება საერთოდ და თეატრი კერძოდ უნდა გადაიქცეს ბასრ მახვილად, იქ ხელოვნებამ და თეატრმა უნდა ითამაშოს მოქალაქის როლი: უნდა ააფრიალოს დროშა, რომელზედაც აღბეჭდილი აქნება ერის ჩუმიდ გამეფებული სულისკვეთება...

აკი, სადაც დაჩაგრულ ერთა ცხოვრებაში, ხელოვნება და თეატრი ამ გზას არ აღვია—იქ ხელოვნება, და თეატრიც მკვდარია, განყენებული, უმნიშვნელო...

თ. იანელი



## ღ ი ა კ ა რ ი

გულის,

გულის!

მასოცს—ჩემს მითოლოგიაში \*) ხატებაა ქალის ღრუბლით გამოცხადებული.

ბრგვა და მოყვანილი, მაგრამ ხელთ-დაუქერავია და ჰაეროვანი.

მისი თვალები ხან მრისხანა და ხან... ნეტარების ზღვა.

მისი ნაკეთიერება ხან ვარდისფერ, მთრთოლოვან, ცოცხალ სხეულს ისხამს, ხან მკრთალებს ცის ეთერში.

ზოგჯერ ისე ახლოს ვარ მასთან, მისი საარაკო თმის სურნელება მათრობს და მბზრუებს.

ზოგჯერ კი სრულიად ვშორდები და მაშინ არის, რომ ჩემს სულში ბნელა.

მაშინ არის, არის ვიწყებ მის ძებნას და ამ ძებნაში ზოგჯერ აღქაჯს წავაწყდები, ზოგჯერ სირინოზსაც.

\*) როგორც ვერს, ისე პირთვნებასაც თავისი მითოლოგია აქვს: ბავშობისას ნაგრძობი, მის ხსოვნაში ბუნდოვნად ჩასახული...

ი ს ტ ო რ ი ა კ ი უმედეგ იწყება... და სხვა ავტ.

მათ ჰგონიათ—შეხვედრილებს, მეც მგონია, რომ ჩვენ ერთი მეორისანი ვართ, მაგრამ ამ დროს სადმე ცისიერზე განათლება და დავინახავ.

ჩემს მრისხანე ღმერთს, ჩემს შორეულ პატარაძალს და მივსდევ კვლავ მას, რადგან თურმე მისთვის ვცოცხლებ. მისთვის მოვკვდები.

შალვა დადიანი



## ტარას შუჰკინაძე

(მისი ცხოვრება)

ამ წლის 25 თებერვალს შესრულდა ასა წელი შუჰკინაძის დაბადებიდან. უკრაინელები დიდის ზომით აზიარებდენ ამ დიდის დღესსწავლს, მაგრამ მათს სურვილს და მისწრაფებას წინ ვადავლობენ:

რით იუა მკლასანი შუჰკინაძე ეკეთი დიდებული, რომ მთელი უკრაინელი ამდროისნი მთაწიებით იხსენიებენ მს სსხელს?

სანამ ამ კითხვასზე მივუგებდეთ, მოკლედ გავიხსენოთ მისი მწარე ცხოვრება და მაშინ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მისი მნიშვნელობა.

ტარას შუჰკინაძე დაიბადა 1814 წ. 25 თებერვალს, ს. მორინცაში, კიევის გუბერნიაში; მამა მისი იუა ეუა ბატონ ენგელვარდტის; ტარასი ათი წლისი იქნებოდა, დედა რომ მოუკვდა; მამამ მერვე



როლი მოიყვანა, რომელიც შეტად ავი აღამაინა გამოდგა; სპარალო ზატარა ტარას სიციცხლეს უმწარესად უღიერა მოზერობით; თორმეტ წლისს მთუყვად მამ, ობოლი ბავშვი დარჩა თავის და ღუთის ანაბარ. დიდი წყაღება და ვიავუღასი გაღანდა შეგნეროს მათგან, ვისაც კი მან შეაფარა თავი მითამ სასწავლებლად. იგი იყო მენახირედან, შეგირდით მხატვართან, მისხურად ბატონთან და სხვა. უეღვან უღიერა მოზერობას, სიმშოდს და სიცივის შეტრს ვერას ზოულობდა.

თავდაპირველი სწავლად იწოდებოდა თავიანთ სოფლის მეღაიონესთან, რომელიც იმდენს არ ასწავლიდა, რამდენსაც სტანჯაყუდა ბავშს საყუთარის სკამის კეთებით. მაგრამ ნიჭმა თავისი ქმნიდა, -- ბირველშივე მას მხატვრობა უფრო ოხიდავდა და ამის უშუალოდ შეგნეროს. როცა მისმა ბატონმა შეამჩნია სამხატვრო ნიჭი, გაგზავნა ჯერ ვარშავს, მერე კი ზეტერბურგს ამ ხელობის შესასწავლად ბატონის სამხატვროსათვის.

ზეტერბურგში ჩასულ შეგნეროს ჯერ ძალიან გაუჭირდა უსახრობის გამო, მაგრამ შემთხვევით იგი გაანტნა მამინდელს გამოჩენილს მხატვარს ბრიულოვს და მეგობანს შეგოგის, რომელიც გადაწვეტილად, ეს ნიჭიერი ჭაბუკი ემობისაგან გაერთანო სურათელებითა. მართლაც ბუერს ეცდნენ და ემობასაც განათავისუფლებდნენ 1838 წ. შეგნერო მამინვე შეედა სამხატვრო აკადემიაში და მხატვრობას მიჰყო ხელი: მაგრამ მასთანვე მიწოდებობასაც მისდევდა. 1840 წელს გამოუშვა ბირველი ლექსთა კრებული „კობზარი“, შემდეგ წელს კი თვისი დიდი ზოქმა „კაიდაშავი“ ორი წლის შემდეგ მიადო მხატვრის წოდება და გაემგზავრა სამშობლოსკენ, სდაც იგი დასახლდა და მოღვაწეობდა, მაგრამ დიდს ხანს არ ასიერნეს იგი თავისუფლად ჭარხე 1847 წ. დაბორაღეს უკრანულ მითარობაში მოხაწილებას და გაამწიეს ჯარისკაცად ორენბურგის მხარეს; მიზეზი იყო ის ხელთნაწერები, რომლებიც მას უზოვეს განხრეკის დროს და სდაც იგი მკაცრად ეხებოდა მთავრობას. უახარმაში გაატარა სრული ათი წელი და ამ ხნის განმავლობაში მას ნებას არ აძლევდნენ არც ხატვისას, არც წერისას. თუ მოახერხებდა რისმე და წერს, იმასაც ჩექმაში ფეხის გულქვეში ინახავდა დრომდე. 1857 წ. იგი, როგორც იქმან, განათავისუფლეს ჯარისკაცობისაგან.

დაბრუნდა ზეტერბურგს და ხელი მიჰყო ხელახლად თავის საყვარელს სკანებს, მხატვრობას და

წერლობას. სეღმეორედ გამოსცა თავისი ლექსთა კრებული „კობზარი“, რომელიც მანამდის აკრძალული იყო და ბუერი მისი შესანიშნავი მხატვრობული ლექსი არ იყო შივ მითავსებული, რომლებიც მხოლოდ სახლფერგარედ იბეჭდებოდა.

მაგრამ ხანგრძლივი ტანჯვისაგან ჯანჯატეხილს შეგნეროს შრომა ბუერი აღარ შეუძლო; იგი შეუბრალბეღამ საკვდილამ მალე იმსხერა. 1861 წ. 26 თებერვალს გადაიცვავდა წყაღამკისაგან. დროებით დასთავდა ჯერ ზეტერბურგში, მაგრამ იმავე წელს მასში გადასთავდა და დასთავდა კიევის გუბერ. კანუვის სხლო მადლობე, მე. დნკნის მარჯვენა ნაზარხე. მას შემდეგ იმ გორას ეწოდება „შეგნეროს გორა“.

აი, ეს უბრალო ტელხის შილი შეგნერო შექმნა მთელ თანამედროვე და შემდეგ თაობათათვის სთათვანებულ სკანად იმ მიზეზით, რომ მან აამდლა, გაამშენიერა თავისი ხალხის ლიტერატურა, აუყვავ მრავალეორონს თაიგულით და აიყვანა იგი იმ ხარისხე, რომ მთელი განათლებული ევროპანი სთამთვანებით კითხულობს მის ზოქიანს. -- მან გაანტნა განათლებულს საზოგადოების ის, თუ რას გრძნობს და რას ესწრაფება უკრანის ხალხი, რომლის ნამდვილ წარმომადგენლად და მის სურვილს გამომხატველად შეგნერო ითვლება. არამც თუ ევროპანს გაანტნა ხალხი, განათლებულს ნაწილს უკრანელებიანს უჩვენა ჭკა, რომლითაც მას უნდა ევლო სამშობლოს საკეთილდღეობად.

შეგნერო იყო უკრანელთა დიდბული მგობანი მამულიშვილი მოქალაქე. ისეთივე მნიშვნელობა აქვს მის ზოქიანს უკრანისათვის, რაც ზუქიანს რუსული ლიტერატურისათვის. ჩუენი საზოგადოება ძლიან ნაკლებად იცნობს მის თავისებურ ზეტერ შემოქმედებას; სასურველი -- კიან გადმოიადრგმონს ის ჩუენც ვასწავლიდა, როგორ უნდა სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავისდაღება.

**დათიკო ივრელი**

**ბ. ბ. შუმკინოს კოპიანი**

(მოკლე დაზახითება)

შეგნერო უკრანელთა სუკეთესო ერთგული მეგობანი, რომლის სახლად დღეს, თუ არა ოფიცი-ალურად, სხეობრივად მაინც დიდის აღტაცებით იტონებენ მისი მადლიერნი თანამამულიანი.

როგორც ბუერს სხვას შეორობენ-მესამოცე წლების გამოჩენილ და მოწინავე ზით, შეგნერო-





სტერეო წილად გამზადართ უბრალო ჯარის კაცად და ათის წლის განმავლობაში, უოქელსვე თაფსუფულებს მოკლებულს, ეწის ჭანანი მორიგის ჯარის კაცისა.

ამ ათი წლის განმავლობაში ბევრი რამ ჩაკვდა და ჩაიფრთვლა შეეჩენოს ადგზნებულს ვულში! ბევრმა გრძობამ და ცხოველმა აზრმა იზოგა თვისი მუღბივი სიძარე მგოსნის ფარავით მიხურულ გულში.. ათი წლის განმავლობაში და მოდუნებულ არსებობის შემდეგ თურქ მგოსნის მიერა თავისუფლება; თურქ ის კვლავ დაუბრუნდა ცხოვრებას, მაგრამ, სიმწიხროდ, დაუბრუნდა კატეხილი გულით, გრძობა-გონებით განხვადიებული, შემოქმედება შელახულ-შემოქცეული...

შეეჩენოს ზოგისა უმთავრესად ღირიულის ხასიათისა. ის დიდად განირჩევა როგორც ნეკრასოვის თავად-ხსურული სეკიდანობისაგან, ისე კოლცოვის სიმღერის და ფიქრებისაგან, რადგანც მას არ ემჩნევა არც ხალხის ცხოვრებიდან მოწყობა და არც ორად გაყოფა. შეეჩენოს ზოგისა წარმოდგენის გადასავლ ხასის ხალხურ-შემკრებლობითი მოქმედებიდან ზიარად, ინდივიდუალურ შემოქმედებაზე. შინაარს თვისის წარმოშობათვისა ზოგისა იღებს ხალხურ გადმოცემა-მოთხრობებიდან. შეეჩენოს ზოგისა გაციალებით მდლას სდგას კოლცოვის ზოგისაზე იმითაც, რომ უფრო ნათლად აქვს შეცნებულ-გათვალისწინებული ინტერესები მოწინავე საზოგადოებისა... შეეჩენოს წარმოებინა შეიძლება დანაწილდეს ოთხ რიგად.

ბირეულს რიგს ეკუთვნის ბაღდადები და სიმღერები სერტიმენტალურის ხასიათისა, მაგ. ,,უტო-მელისა“, ,,პრობისა“, ,,რუსლავა“, ,,ტომოლია“. ამ წარმოშობათა უმთავრეს შინაარსს შეადგენს—ბე და ახალგაზდა ქალისა, რემელსაც ან დედინაცვალა სტანკავს და აწავლებს, ან ახალგაზდა უკახსი დიდობის, ატუეებს.

მორე რიგის წარმოშობაში შეეჩენოს ახასიათის ხალხის ვაი-უბედურებას ბატონ-უბობის მძიმე და უტანელ უღელ ქვეშა. ამ მხრივ საუკეთესოა მისი ,,კატერინა“.

შესამე რიგისა წარმოშობაში ისტორიულის ხასიათისა. მათში მგოსანი დამღერს უკახსების ავითუფლებას დრას; სიამოვნებით ივთნებს თავსუფლებას დამცველებს და დანაგვრისათვის შურისმძებლებს. ზოგისა სიამრცხვინო ბოძზე აგრავს არამც თუ ,,დაიხებს“ და ებრავლებს, არამედ თავისიან ,,ზანებს“

და ,,ბეტიმნებსც“; ამ უკახსანგულთ გმობს მომეტებულად მისთვის, რომ ისინი ზიარდის სარგებლობისთვის გასდნენ ხალხის მტრებად, მოღალატეებად. ასეთი შინაარსისა მისი ორი დიდი ზოგისა: ,,ბედი-დამაყი“ და ,,გამოლია“.

მეოთხე რიგს შეეჩენოს ნაწერებისა შეადგენენ ზრდახით რუსულ ენაზე დაწერილი მოთხრობები. ამ წარმოშობაში მგოსნის ნიჭს ჩამოქვეითება ეტეობა. სხანს, რომ უღობივლად ცხოვრების ვითარებაში აუმიღვრია და დაუხიანა ზოგისა ოღელსადც სათუთი და წმინდა შემოქმედება...

ივ. ვართაგავა



# მსჯავრი

(ტრემაიერით)

სულმა განუტევა სხეული, წაიყვანა იგი ანგელოზმა და ხრიოკ-ტიტველ უდაბნოში დასვა ქვეხე...

ზემოდან, ლურჯად დაბურულ სივრციდან სულს მოესმა ხმა: —,,განსაჯე თვით შენი თავი!“

და მსწრაფლ სულის თვალების წინ გაიშოა ვეებერთელა მდინარე, რომლის წყალი ცრემლთა წვეთებისაგან შესდგებოდა...

წყალი მღვრიე იყო...

ანგელოზმა რქვა:—ხედავ, —აი, ცრემლემი, რომელნიც შენთვის დაღვარეს დედამიწაზე მაშინ, როდესაც შენ იქ იყავი...

სულმა მიუგო:—მართალია, მაგრამ აქ ხომ ჩემი ცრემლებიც ურევია!..

სამჯერ მიმართა ანგელოზმა სულს ამგვარი კითხვით და სამჯერვე ერთი და იგივე პასუხი მიიღო...

მაგრამ, აი, უეცრად მღვრიე წყალი დასუფთავდა, შეიქნა სვეტაკი, როგორც ბროლი...

ახლა ანგელოზმა რქვა:—ეს ცრემლებია შენი დღისი!..

სულმა თვალბეზე ხელები მიიფარა და წყნარად მიუგო: მართალია... მე ვარ დამნაშავე, რომ აქ არაა ჩემი ცრემლებიც!..

8. გორგაძე



იოსებ კონსტანტინეს ძე ველდენიშვილი

ავტორი „სინათლე“-ს და სხვა ზეიკებისა, ქართლელია, დაიბადა ს. ახაშენში 1872 წ. 2 ანურას, 4—5 წ. იქნებოდა, რომ მისი მშობლები მცხეთას გადასახლდნენ, ექვსი წლისას დედამ დააწვებინა ქართული წერა-კითხვა, ამავე დროს ასწავლიდნენ რუსულს; შვილის წლის თბილ. სავაჟო I გიმნაზიის ზნისთოსში მიაბარეს. გიმნაზიის ზირველი კლასიდან თბ. კადეტთა კორპუსში გადაიყვანეს, კორპუსის დამთავრების შემდეგ ზეტურბურგის I სამხედრო ზეიკის სასწავლებელში შევიდა, დაამთავრა სწავლა და 1892 წ. ოფიცრება მიაღწია.

სამხედრო აღზრდა - სასწავლებელმა და სამსახურმა სრულად დააყუწა სამშობლო ენა, უცხო ნიადეგზე აღზრდილი თითქმის სრულად მოწყვეტილი იყო სამშობლო კერას და მხოლოდ 1904 წ. ცოტათი დაუხლოვდა ქართველ საზოგადოებას, ქართულ საქმებს და დროგამოშვებით გამოცემებს. 1906 წ. დუშეთის ხაზინის ექსპრობირაციის თაობაზე დახატომეს შეტეხის ციხეში, სდაც თითქმის ორი წელიწადი გამოძიების ქვეშ ჰყოფათ. ზატომრბის დროს შეუდგა სამშობლო ენის შესწავლას, ქართველი კლასიკები გადაიკითხა და ქართული წერაგ ისწავლა.

1908 წ. გასამართლეს, ორი წლის ციხე გადუწვეტიეს და სსჯელის მოსახლელად დუშეთის ციხეში დახატომეს, სდაც უფრო ბუკითად შეუდგა სამშობლო ენის და მწერლობის შესწავლას.

სამწერლო ასაზრგზე გამოვიდა ცხრასიან წლებში, შგანმ ზირველ დახატომრბამდე მხოლოდ რუსულს გაზეუებში სწერდა („კავკას“, „სავკავკასიუ“, „კავკასიკი კრია“), ქართულ სამწერლო ას-

ზარეზზე კი 1909 წ. გამოვიდა და, ორიოდვე მოლიტიკური მინასრის წერილის შემდეგ, დაბეჭდა თავისი ზირველი მოთხრობა ტუსალების ცხვრებადან „აქც დსდგა“, 1910—11 წ. წ. დასწერა ზეიკები: 1) „ოჯახი“, 2) „მსხვერპლი“, 3) „გამცემი“, 4) „სიამრთლე“ და 5) „გაიქცა“. ციხიდან გაათავიფულეს 1913 წ. 28 ანვ. ამ წელს დასწერა „ქალი“. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მიიწვიეს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემლობის მდივნად და იმავე წელს აირჩიეს ქრთ. დრ. ს.ზ. გამცემის წევრ-მდივნად. 1913 წ. სელასლად დახატომეს შეტეხის ციხეში, სდაც დასწერა თავისი შესანიშნავი ზეიკა „სინათლე“.

ამგვარად სულ ხუთიოდე წელიწადია, რაც ი. გ. სამშობლოს დაუბრუნდა და ამ მოკლე დროში სამშობლო სტენას შესდგნა საუკეთესო ნაწარმოებნი და ბოლო ხანში აკავის ქვეყანას ახალი მტნება ასმინა: ქართველ ხდეს მხოლოდ სინათლის მოზოებით, ე. ი დაწინაურებულ ქვეყნებში შექცნილ სწავლა-კანთლებით, სკერთაშორისთ იღვათა სამშობლო ნიადეგზე გადმთერგვათ და კრთვხულის კათოთნბობერებით შეკლდათ ადგეობა-დაწინაურება და მსოფლიო თერხულში ჩამოა.

საჭაროა ისიც მოაკისენიოთ, რომ ი. გ. ცნობილია ვითარცა თავკომადებული და ბუკითი მუშა—მშრომელიც ქართული თატრისას, რომლის გამკელებ იგი მიწვეულია.



ს ი ნ ა თ ლ ე  
ზღაპარი-ფიერია

3 მოქმედ. და 7 სურათად  
მ ზ მ მ მ დ ნ ი პ ი რ ნ ი :

მეფე ჯიმშერი. დედოფალი. გორჯასპი ) მათი შვილები. ავთანდილი ) მესამე ემშაკი. სპასალარი. ვეზირი. პირველი და მეორე დესპანები. პირველი კარის კაცი. მეორე კარის კაცი. შიკრიკი პირველი და მეორე. გლეხკაცები პირვ. და მეორე. ანკარა. დაერიში—ქაჯთა მეფე ჯადოსანი—მისი დედა. პირველი ემშაკი; მეორე ემშაკი. მესამე ემშაკი. პირიშუე. მთვარია. ბროლისხუე. ფერიები. ნათელა. წკრიალა. ანკარა. ემშაკები, ქაჯები, გლეხები, გამდელები, ძიძები და ორი დანჯი.





**მოქმედება პირველი**

**სურათი I**

მარცხნივ სასახლეში შესავალი კარები. წინ ეზო, სამი ღიბრონი კაკლის ხე. შუა ხის ძირში ბაღდაზინი მეფე-დედოფლისათვის. მარცხენა ხის უკან კლდე კარის მსახურნი შუა ხის წინ სუფრას ამზადებენ. თავს ადგანან I და მე II კარის კაცები. უკან მოჩანან სასახლის ბაღი.

**პირველი კარ. კაცი.** ჰა, აბა ჩქარა! სა-  
დაცაა მეფე გამობრძანდება. .

**მეორე კარ. კაცი.** თითქმის ყოველისფერი  
მზათაა... (გაწვევს განზე ჰიზრე. კარ. კაცს) ადა-  
მიანო! ეს დაუსრულებელი ღვინი-ქეიფი რო-  
დემდის გასტანს. მეფემ საქმეებს სრულებით

თავი გაანება. ხალხი იჩაგრება, ირგვლივ მტერი  
გვარტყია... არ ვიცი, როდემდის უნდა ვიყოთ  
ამ მდგომარეობაში...

**პირველი კარ. კაცი.** ეჰ, ძმაო .. სევდას  
და მწუხარებას რას უზამ, გლოვის ღვინია ეს  
ჩვენი მეფის ქეიფი... „შვილი არა მყავსო და  
ამოდენა სიმდიდრე, სარჩო, სანოვანე ვის და-  
უტოვო. სჯობს ვიდრე ცოცხალი ვარ მე თა-  
ვად გამოვიყენოო...“ საქმეებზე ხმას არავის  
ამოაღებინებს. დიდებულები გაჩუმებულები  
არიან. იმ დღეს სხასალარმა სამეფო საქმეებზე  
ჩამოუგდო ლაპარაკი. მეფე ვანრისხდა, ვაუ-  
წყრა... ,თუ ჩემი პურმარილი არ მოგწონს,  
გზა დამილოცნიაო“.



**მეორე კარ. კაცი.** აი ახლაც ემანდ შიკ-  
რცი იცდის და მეშინიან, ვერ მომიხსენებია...

**პირ. კარ. კაცი.** შიკრიკი?... საიდან მო-  
სულა?

**მეორე კარ. კაცი.** სამხრეთიდან... ისეთი  
ფერი კი აღევს, რომ კარგი ამბის მახარებელი  
არ უნდა იყოს.

**პირ. კარ. კაც.** სამხრეთიდან? ალბად  
როსტომ მეფე შემოესია ჩვენს საზღვრებს და,

ხომ იცი, ის კეთილს არ დაგვყარის... რაც  
ვახდება ვახდეს და მაგ შიკრიკის მოსვლას ვე-  
ზირს ვაუწყებ. გაჩუმება არ შეიძლება. (ისმის  
მუხისკის ხმა. ზურნა) აგერ მეფე-დედოფალს  
მობძანდებიან. (შემთვინს მეფე-დედოფალი ამა-  
ლათ, მათში სხასალარი და ვეზირი. მეფე-დედო-  
ფალი დასხდებიან ბაღდაზინის ქვეშ. ამაღს სუფრას-  
თახ ადგილებს დაიჭერს. ჰიზრეული კარ. კაცი ვეზირს  
წაიხურჩეულებს).



**მეფე.** დაბრძანდით, ჩემო ძვირფასო სტუმრებო, განვაგრძოთ უკვე გრილოში ჩვენი ტკბილი ღვინო... (სხდებთან)

**ვეიზრი.** მაპატიე, დიდებული მეფე, ცოტა რამ საქმე გახლავთ... ძრიელ საქმე..

**მეფე.** კიდევ საქმე? რამდენჯერ მითქვამს: მე საქმეებს თავი დავანტებ, ნუ თუ მე, მეფეს, იმის უფლებაც არა მაქვს, რომ მშვიდობიანად ვიღვინო, საქმეებისთვის არ ვიტკიო თავი?..

**ვეიზრი.** მზეო ქვეყნისაგ! შიკრიკი გზღუბია...

**მეფე.** შიკრიკი?.. თუ გვაბატყობს ვინმე? შემოიყვანეთ შიკრიკი და ვაი იმის თავს, თუ საქმეებზე მოგვიყვანა ლაპარაკს [კარის კაღვი გადის და შემოჰყვას შიკრიკი შიკრიკი მიესალმეფეს].

**შიკრიკი.** დიდება და დღეგრძელობა ჩვენს სახელოვანს მეფე ჯიშერს!..

**მეფე.** რითი გავგახარებ? საიდან მოღიხარ?..

**შიკრიკი.** სამხრეთიდან, დიდებული!.. როსტომ მეფე აუარებელი ჯარით და ხომალდებით მოადგა ჩვენს საზღვარს. ზღვის გზა შეგვიკრა და შენი ორი ხომალდი ხელთ იგლო, ამ ხომალდებს შენთვის აუარებელი ოქრო და მარგალიტი მოჰქონდათ ინდოეთიდან...

**მეფე.** (განრისხებულა) ევაგისტისთვის შემაწუხეთ... მაგისტისთვის შემაწუხებთ ღვინო?.. მინც საქმეებით მაწუხებთ? როს ჯომ მეფე?.. ოქრო? რად მინდა ოქრო?.. ნეტავი ჩემს სი-ცოცხლეში ის მოვიხმარო რაც მაქვს. მე თქვენ გეტყვით შვილი მყავს და იმას დაუტოვებ... როსტომ მეფე კოტრი და ლატიაო... შინ ლუკმა პურიც კი უჭირს... დეე, მიჩუქებია ის ოქრო მისთვის... (შეკრავს) გაეთრიე აქედან და ღმერთს მადლობა შესწირე, რომ კარგს გუნებაზე ვარ, თორემ მათრახები არ ავცდებოდა. (შეკრავი გავა) დაბძანდით, ყმაწვილებო, განვაგრძოთ ღვინო... აბა სპასალარო, იცევდი შესანიშნავი მოცეკვავე ქალები ვიშოვნეო... გვაჩვენე ეს შენი მოცეკვავენი, თორემ ცარიელ ტრაპახობაში ჩამოგართმევ...

**სპასალ.** ოღონდ შენ ისიამოვნე, დიდებული მეფე, და მსურავლადგასრულებ შენს ბძანებას (დაუკრავს სამჯერ ტაშს. ახლადან კამოსტვიჯობიან ფერები:

ზირი მზე, მთვარა, ბროლი სსხე ნათელა, წვრიალს და ანკარა. უკრავს ნახი მუსიკა. ფერები ტეკეფენ. გაათავეს ტეკეა. გაიტენენ და დაიმაღნენ ბაღში).

**მეფე.** მართლაც მშვენიერები ყოფილან... რალად გაიტენენ... სპასალარო, დაუძახე, გესურს დავსტებთ ცოტათი კადევ მათ თვალწარმტავი ცეკვით... რა მშვენიერები არიან. სად გიშოვნია, სპასალარო? დაბრუნე, დაბრუნე... კიდევ ვაცეკვო... ძვირფასს საჩუქარს არ დავშოვავ...

**სპასალარ.** ჩვენო დიდებო! ვევიდ დავეწევა და არც დაბრუნდებიან... ტყის ფერიები არიან... იმ დღეს ჩემი მონადირეები ტყეში ნადირობდენ... დაჰამებოდათ მალლა მწვერვალზე. დილის რიყრახზე, ის იყო ტყეს ღამე ემშვიდობებოდა და დღე ებარებოდა, მისდგომიან მონადირეები ერთს უზარმაზარ მუხის გაქმეში მოცეკვავე ფერიები. დასდენებიან მონადირეები დასაქვრად, მაგრამ გასხლტომიან ფერიები ხელიდან. მხოლოდ ერთი ფერიის ღეჩაქი ხელით შერჩენია მონადირეს და მოგვსენებში; მეფე, თუ ფერიამ თავისი ღეჩაქი დაჰკარგა, — მზის ამოსვლის უშალ მოჰკვდება... ეხვეწებან ფერიები დავიბრუნეთ ღეჩაქიო... მონადირეები არ ანებებენ... , წამოღით, ჩვენს მეფის წინაშე იცეკვით და ღეჩაქს დავიბრუნებთო!.. ბევრი ყოყმანის და მუღარის შემდეგ დათანხმებულა ფერიები. გადმოუღვლიათ ერთი რკო და უთქვამთ: ვისაც ეს რკო ექნება და სამჯერ ტაშს დაჰკრავს, სადაც უნდა იყოს, გაწინდებით და ვიცეკვებთ, მხოლოდ ერთხლის მეტად კი არ შეგვიძლიან ცეკვაო. დაუბრუნებიათ მონადირეებს ღეჩაქი და რკო კი მე მომიტანეს. ახლა ამ რკოს არავითარი ძალა აღარა აქვს, რადგანაც ფერიებმა თავისი დაჰირება აღასრულეს.

**მეფე.** ეს, ყოველგვარი სიამოვნება ხანმოკლე და წუთიერია... აი გინდა ღვინოც... პირველში თითქოს მართობდა, მაინცყებდა დარდს და მიქარვებდა სვედას... ახლა კი ისევ... ისევ...

**დელოფ.** რაზე მოიწყინე, ჩვენო დიდებო? რატო ისე მოგელრუბლა მაღალი შუბლი?.. უბძახე და განა მთელს შენს სამეფოში არ მონაოვებიან საუკეთესო მოცეკვავე ქალები?





**მეფე.** არა, არა... რომ მომავონდება: ეს ძლიერი სამეფო, დიდძალი განძი და სიმდიდრე... ვის დაუტოვო?.. შენ იცი, დედოფალო, ჩემი გულის ნაღველი, ჩემი მწუხარების მიზეზი. საუკუნობით განთქმული დიდებული და ძლიერამოსილი მეფეთა გვარეულობა უნდა მოისპოს?.. ვის ჩავაბარო ყოველისფერი, ვის ვუანდერძო ის, რაც ვაღმომცეს ბრწყინვალე წინაპრებმა?—

**სპასალ.** მზეო ქვეყნისავ, ნუ პოაწყენ გულის, ნუ დაჰკარგავ იმედს, სასოწარკვეთილბას ნუ მიეცემი... გეყოლება კიდევ შვილი და შენთან ერთად გაიხარებს ქვეყანა...

**მეფე.** ჰმ... რაღა დროსია... კაცი ვებრდები... სადაც არის შავი აჩრდილი წამომგებარება და ზარს ჩამოჰკრავს...

**ვეზირი.** ჩვენო დიდებე! მოგვაპყარ სმენა შენი და მოწყალებით ვადმოგვხედე... უზენაესმა ხანგრძლივ ჰყოს შენი სიცოცხლე და ბედნიერად მრავალჟამიერ გააბატონოს ჩვენდა სასიხარულოდ და ქვეყნის საკეთილდღეოდ... მაგრამ ნუ დააობლებ შენს სამფლობელოს, ნუ დასტოვებ უბატონოდ შენს ერთგულს ხალხს... მართალია, ორი საუკეთესო გვარის შვილები, რომელნიც შენ იშვილე, უღმობებლმა სიკვდილმა ჩვენდა საუბედულოდ წაგვართვა... ალბად, ესეც ღვთის განგება იყო... მაგრამ გემუდარებით, სცადე ერთი კიდევ... ამოარჩიე კიდევ ერთი წარჩინებული გვარის შვილი, შვილად აიყვანე...

**მეფე.** როგორ? კიდევ ერთი უმანკო პაწია ბავშვის ცოდო ავიღო ტვირთად?.. კიდევ ვაგზალო ვინმე მსხვერპლად?.. არა, არა, ალბად ჩემი ბედი ასეთი. აო ვიცო კი რა შეეცოდე მაღალს ღმერთს, რომ ასე სასტიკად მსჯის... არა, შვილი მე არ მეყოლება და ვერც შვილად ავიყვან ვისმეს... (გაისმის უგზად ჭკქა-ჭქხალი, თათქას სდაღაც ახლო მუხი ჩამოვარდა... დაუბერავს ზუზუნით ქარი. ეგვლანი წამოხტებიან. მარცხნივ კვადე გაბობა და კამოჩნდება **დავრიში**. წითელი სისთაფე. ეგვლანი თავზაზღაგმუჯი შესტქერან დავრიშს. იგი მძიმე ნაბიჯით მადის წინ და მიუყეს მიესალმება).

**დავრიში.** დიდება და გამარჯვება სახელგანთქმულ მეფე ჯიმშერს!..

**მეფე.** ვინ ხარ შენ? როგორ გაჰმდე აქ მოსვლა დაუკითხავად? ჯოჯოხეთის თუ სამოთხის მოციქული ხარ?

**დავრიში.** შენი მორჩილი მონა, საწყალი დავრიში... გლახაკი და კეთილი ხალხის წყალობით მცხოვრები.

**მეფე.** რა გინდა აქ? როგორ გაჰმდე, გეკითხები, ჩემი ნადიის და ლხინის შემლა?

**დავ.** მაპატიე. მეფე... შენი ნადიმი და ლხინი სევლით და გლოვით არის გამოწვეული. ვიცი შენი გულისწაღბი, ვიცი რა გაიძულბს შენი ტყვიელები და ბოლმა ლხინით და ვითომ მზიარულობით გაიქარვო, დაივიწყო... მე გიშველი, მე ავისრულბ სურვილს... მე მოგცემ შეილს...

**მეფე.** შენ?.. რა შეგიძლიან, შენ, ვილაც საბარალო დეწიშს?.. მთელი ქვეყნის ბრძენნი, ნაწყელნი სცდილობდენ... რა წამალს, რა შელოცვებს არ ხმარობდენ ჩვენი გულთმისნები და ვერა გააწყესრა და შენ, შენ, საყოდავო დავრიშო, რა უნდა მიშველო... შენ რა შეგიძლიან?..

**დავ.** თუ ჩემმა აქ მოსვლამ არ დაგანახვა, მაშ, კარგი. აჰა, შეხედე ცას—მთლად მოწმენდილია, ერთს პაწაწა ღრუბლის ნაღვეჯსაც ვერსად დინახავ. და აჰა! (გაქიწვს მარცხენა ხელს და წვიმის დაუშვებს. ეგვლანი ხის ქვეშ ეფარებაან). აჰა, ახლა, კიდევ (გაქიწვს მარჯვენა ხელს და წვიმის გადაიღებს). აი ვადაილო, გამოიღარა... ახლა ხომ გჯერა, რომ ბევრი რამ შემიძლიან.

**მეფე.** ბელზეულისავან ხარ მოგზავნილი, თუ მართლა წმინდა სული მოგვევლინა საშველად?

**დავ.** ეგ სულ ერთია... მაგას ნუ გამოეკიდები... მე უბრალო საწყალი დავრიში ვარ, მაგრამ შველა კა შემიძლიან,—შვილს კი მოგცემ.

**მეფე.** მიშველე და შენს წონა ოქროს არ დაეზოგავ. ნახევარ სამეფოს მოგცემ. ოლონდ აღმისრულე...

**დავ.** დავრიშს ოქრო არ ესაჭიროება... და არც მეფობა უნდა... ვითხარი გიშველი, მხოლოდ ერთის პირობით და თუ დასთანხმდები, წამალსაც ვასწავლი.

**მეფე.** სთქვი და არას დავზოგავ, არაფერს შევეუწინდები...

**ღვ.** მაშ კარგი... წლის თავზე დედოფალს ეყოლება ტყუბი შვილი, ორი ვაჟი, მათში ერთი ჩემი უნდა იყოს... თუ თანახმა ხარ...

**დედოფ.** უიმე, დედამ შვილი როგორ უნდა გაიმეტოს? ორ ძუძუში ერთი რომ მოჰგლიჯო, არ ეტკინება?

**მეფე.** მოითმინე, დედოფალო... თუ კი ორი გვეყოლება?.. ნათქვამია სულ არარაობას ცალ-უღელი ხარი სჯობიაო...

**ყველანი.** დასთანხმდით, მეფე—დედოფალო, დასთანხმდით... ნუ დააობლებთ ქვეყანას!..

**მეფე** (დაფრთხილდა). კარგი, მე თანახმა ვარ... აი ამ ხალხის წინაშე გიცხადებ: თუ წლის თავზე გვეყოლა ორი ვაჟი, მათში ერთი შენია... გვასწავლე წამალი...

**ღვ.** დილის რიყრაყზე დედოფალი გაბანდეს ბაღში და თავის ხელით მოსწყვიტოს ჰიფერი ვარდი, რომელიც შადრევანთან ჰყვავის, ისე კი მოსწყვიტოს, რომ არც ერთი წვეთი დღის ნამისა არ ჩამოვარდეს მარცხენა ლოკით შეაშროს ის ვარდი და მერე შესჭამოს. წლის თავზე ეყოლება ტყუბი ვაჟი. თერთმეტის წლის, თერთმეტი თვის, თერთმეტი დღის, თერთმეტი საათის და თერთმეტი წუთის შემდეგ მოვალ და, მეფევე, ჩვენი პირბა უნდა ადვანსრულოთ. (გასისამჩქნა, ქარი. დაფრთხილდა კვლეში იმალება. ეგვლანი თავზარდაცემული სდგანან).

**ფ ა რ ლ ა**  
ი გედევანიშვილი



# ბ უ ნ ე ბ ა დ ა ც ხ ლ მ რ ე ბ ა

(პირველი წიგნი)

ყველგან და ყველასგან დევნილ ჭართულს ენას ბევრი განსაცდელი მიადგა, ეს არავისათვის საეჭუო და დაფარული აღარ არის... მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ახლანდელი განსაცდელი სულ სხვაგვარია და მეტად ვერაგულიც.

ასეთ გაჭირვების დროს ბეჭდური მწერლობა უნდა ეხმარებოდეს ენას, მის გავრცელებასა და შერჩენას.

ჩვენც, რა თქმა უნდა, ქართული მწერლობის იმედი უნდა ვიქონიოთ. როდესაც ყოველივე ისეა მოწყობილი, რომ მხოლოდ განადგურებას უწყობს ხელს, ეს და დავგრჩენია საიმედო საშუალებად.

მაგრამ როდესაც ამ თვალსაზრისით გავითვალისწინებთ ჩვენს მწერლობას, მაშინვე წარმოგვიდგება ის დიდი ნაკლი, რომელიც მას დასჩემდა. ქართული მწერლობა მეტად ერთდებდა სამეცნიერო მასალას, ეს ცხადია. მერე რატომ? მიზეზი უტოლდინარობაა.

რადგანაც ენის ზედმიწევნით შესწავლას ყველგან დიდი შრომა და ჯაფა უნდა, და მით უფრო ჩვენში და ჩვენგვარ პირობებში—ამისათვის ყველა გაურბის ამ სიძნელეს.

ჩველებრივ, ენა კიდევ ასე თუ ისე ემარჯვებათ, მაგრამ, თუ დინჯ საჯანზე მიდგა საქმე—მაშინ ვერაფერ ვერა ბედავს ამაზე წერას და განზრახ ერთდებდა ამ დარგის წერილებსაც. ახლანდელი ქართველი კერძო ცხოვრებაში, ლაპარაკს დროს, ქართული ენას არ საჭიროებ, სხვა ენითაც იოჯად მიდის, და როდესაც წერას მიადგება საქმე, რასაკვირველია, უნდა აუხვიოს გვერდი და თავიდან აიშოროს ისეთი რამ, რასაც იგი ჩველი არ არის.

აი სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჩვენს მწერლობას სრულებით არ მოეპოება თანამედროვე მეცნიერების მასალა, ან, თუ, შემთხვევით რასმე დაჰმეტადვენ, მხოლოდ სრულებით უმნიშვნელოს და ისიც მეტად იშვიათად. ამნაირად მობასეც და მკითხველიც სრულეებით მოკლებულია სამეცნიერო საგნს შესახებ ქართულად ბასსა და წერას. ჯერ უბრალო, საყველპურო საუბარი რომ ვერ მოუხერხებია თანამედროვე ქართველს ქართულად, როგორღა შესძლებს იგი რთულ, სამეცნიერო საგნის შესახებ ქართულად მსჯელობასა და წერას?!... მით უფრო საწყენია და სავალალო ეს გარე-





მოგება. რომ ქართული ენა უკვე იყო სამი-სოდ დაწინაურებული მეცხრამეტე საუკუნემდე და მრავალი ხელთნაწერი, ამის ცოცხალი დამადასტურებელი, დღემდეც დასულია და ჩვენამდე მოღწეული. თუმცა დღეს ამ მასალას მკითხველი არა ჰყავს და არც თვლის გადამვლები, მაგრამ მათში მოქცეული მდიდარი მასალა უტყუარი საბუთია მისი, რომ ჩვენს წინაპართ მრავალი ჭირ-ვარამის მიუხედავად, მეცნიერებაც ჰყვარებოდათ და ქართული ენაც ისე გაუმდიდრებიათ, რომ ამ ენაზე ყოველგვარი რთული საგნის გადაცემა ყოფილა შესაძლებელი. და თუ უმაღურმა შთამომავლობამ ეს განძი ვერ გამოიყენა, ეს მხოლოდ ქართველების საერთო დაკნინებისა და გადაგვარების ბრალია...

სხვაგან უფრო ღარიბმა ენებმა ახლად გაიჩინეს სამეცნიერო მწერლობა, და ჩვენში-კი ისეთმა მდიდარმა ენამ და დამუშავებულმა, როგორც ქართულია, მიჩვიდნენ და მეთვრამეტე საუკუნის ნაანდერძენიც ვერ შეინახა და წინსვლელობის მაგივრად, უფრო შეიმოკლა ას-

პარეზი, და ამით მეცნიერულ განვითარებას სრულებით ჩაშორჩა...

მთელი საუკუნე გადის, რაც ქართული ენა ამ ნაკლს შეეთვისა და, თუ ახლაც არ ვეცადეთ ამ ნაკლის გასწორებას, მეტად დიდ ზიანს მივაყენებთ მის წინსვლელობასა და განვითარებას.

ამისათვის საჭიროა სამეცნიერო განყოფილებას ყოველმა ჟურნალმა ყურადღება მიუაქციოს და ადგილი დაუთმოს, მკითხველის შესაჩვენად.

ჩვენც ვცდებით ხანდახან გამოვესაუბროთ მკითხველს სამეცნიერო საგნების შესახებ და რაც ახალი და საგულისხმო-რამ იქნება მეცნიერების დარგში, იმას მივაქციოთ ყურადღება.

მართალია, ძნელია ახლა გადაჩვეული ქართველისათვის სამეცნიერო წერილის ქართულად წაკითხვა, მაგრამ ვინც მოიწადინებს, ადვილად მიჩვევა და გაიგებს, და ვინც ვერ გაიგებს—მანც ნუ შეგვრისხაეს და თავის თავს დააბრალოს.

3. ღამბაშიძე

### ქართულ სცენის მოღვაწეთა ყრილობა

დრამატულ საზოგადოების გაშეკობის ინიციატივით—საზოგადოებრივი დაჯებილების თანხმად—შესდგა კომისია, რომელსაც დაჯებილები აქვს მოაწვიონ „ქართულ სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა“.

კომისიისა შედის: გრ. დისამიძე, ს. ტაჩუაშვილი, შ. დავიანი, ა. ავალიშვილი, ა. წუწუნაძე, გ. მესხი, ვლ. ალექსი-შესხიშვილი, ვ. გუნიან, ვ. შალვაშვილი, მ. ქორელი, ივ. ბარბელი. კომისიას უკვე რამდენიმე კრება ჰქონდა და გამოარჩევა, რომ **ყრილობის** მოაწვევა სსსრუკელი იქნება მოსდეს 20 აპრილიდან ზირველ მასამდე. ყრილობის განსახილველად შემუშავდა შემდეგი დანხილვები:

I

#### I დრამატული ლიტერატურა დამიმოხილვა:

- 1) დღევანდელი მდგომარეობა, 2) სსსრუკელი, 3) ჰერტუარი ირიგინალური, 4) თარგმანი, 5) დრამურგთა კავშირი, 6) აკენტურა, 7) რეცენზია:—თეატრალური კრიტიკა, 8) ქართული ენა, ქართული თეატრი, 9) მიმოხილვა.

#### II დრამატულ საზოგადოებათა მიმოხილვა:

- 1) ისტორიული მიმოხილვა, 2) ანტრეპრიზა, 3) კავშირი, 4) საზოგადოების სსსრუკელი მიმართულება.

#### III სასცენო ხელოვნება და სცენის მომწარენი

- 1) დღევანდელი და სსსრუკელი მიმართულება, 2) სწავლა-ახათლება, 3) სორმალური წესი, დამოკიდებულება დრამატ. საზოგად. და რეჟისორთან, 4) ანსამბლი.

#### IV თეატრი საქართველოში:

- 1) მოძრავი თეატრი, 2) თეატრი სოფლად, 3) სცენის მოყვარენი და მათი მოქმედება.

#### V რევისურა:

- 1) ვინ არის ზროტესისი რევისორი, 2) სტაჟი, 3) დამოკიდებულება მსახიობთან, 4) ტენიკური მხარე, 5) სცენის მუშები და სხვა.

II

#### I პროფესიონალური კავშირი:

- 1) ვინ არის მსახიობი, 2) მსახიობი და რევისორი, 3) ქართული ენა, 4) აწინდელი და სსსრუკელი მოქმედება მსახიობთან.

### II დამოკიდებულება მსახიობთა და ანტრეპრინაზსთან დრამატ. საზოგად.

1) ნორმალური წესი, 2) კონტრაქტა, 3) ბენეფისი და იუბაჟე — სტაჟი.

#### III თანხები

1) სხვადასხვა სპენსიო, 2) უმუშავართათვის, 3) სურთაერთო, 4) დაუსაწყობებულთ.



## ქოსას ოინები

ეს იმ დროს იყო, როდესაც ბურაანში მყოფი საზოგადოება ქოსას საზოგადო მოღვაწის შარავანდელით აკობდა და მის კუქოსან ავიაობას თავის დარდიმანდ ჯიბიდან საკმაო სასუსნაესა სთავაზობდა. თვითონ ქოსა კი, მეფისტოფელურის ღიმილით, უღვაშ-გაპარსულ, მსუნაგ, წვრილ ტუჩებში ეშმაკურად ჩაიციენებდა და თავის ოინებს ტუჩების ტკბანურით უამბობდა განუწყრეთ თავის ტუქუპის ცალ მეგობარ კუსპას, თანაც კატავისიად დააყოლებდა:

— შე ვირრო, შე ვირრო, შენა!..

მითომ რა მინდაო? აი, მე ასეთი ჭკვიანი, მოხერხებული ვარ, შენ კი— დოყლაპიაო.

დაბალ-დაბალი, ჯმუხი, ცხვირ-წამოწვდილი ქოსა გაგეშოლ მეძებარეით სუნს აიღებდა, თუ რა დროს საით იყო მისი საკბილო და კვალდაკვალ მიჰყვებოდა. ქუჩის თავიდან ქუჩის ბოლოში თვალს შეასწრებდა გასაფეკვენლოდ განწირულ ბატკანს, ყველიპარია კატასავით მოსჭუტავდა ისედაც მოჭუტულ თვალებს— და უზომო ზრდილობით, შემპარავის ღიმილით, ქულის მოხდით მიესალმებოდა:

— აა, ჩემს ძვირფას პეტრეს!.. ჩემს გიორგის!.. ჩემს რომანს!.. ჩემს საშას!..

გამოცდილი ალღო შორიდანვე აგრძობინებდა, თუ რა გუნებაზეა მისი ძვირფასი მეგობარი, რაიმე დასაკინკლი ქანქარი ჭყავის მის პატიცემულ და პატივასყრელ ჯიბეში, თუ არა. ყველა ნაცნობას სუსტი მზარე იცოდა, მათი გულის საიდუმლონი, განსაკუთრებით ქალთა საკითხში თვალწინ ეღვა და ხალისიანის მასლაათით ათასგვარ არაკებით ჰამოეტისებურ ფილოსოფოსსაც კი საამჰყვენიო გუნებაზე დააყენებდა.

ქოსა თუმცა მღვდელი არ იყო, მაგრამ მრევლი დიდი ჰყავდა. მირზახანოვის ვერცხლის კარტუზიც ვერ გაუძლებდა ერთ თვეზე მეტს, ბევრი სალამის მიცემისაგან. მისი მრევლი იყო მთელი ქალაქი და მისი მახრებიც, ყველა დაწესებულებაში, ყველა წოდებაში, ყველა უწყებაში შინაური, მიღებული კაცი იყო! ისეთი რიხით შევიდოდა, როგორც დიდი მოსაქმე კაცი, წვრილფეხა მოხელეებს სარცკი მიჰხედავდა, პირდაპირ უფროსის კაბინეთისაგან გასწევდა: ვინ გაუხედავდა კითხვას, შეჩერებას.

იქნებ იფიქროთ, ვითომც ქოსა ბოროტის გულის პატრონი იყო, ხარბი, ძუნწი, უკადრისი და მხოლდ სხვისი ჯიბით უყვარდა სარგებლობა?

რა ბრძანება!

ქოსა ნამდვილი კომუნისტი იყო. მისი ბუნება სხვა თეორიას ვერც შეიმშენვედა. თავის საკუთარ კუქის გარდა სულს აქეთ არავითარი საკუთრება არ გაანჩდა და განა შეეძლო კომუნისტი არ ყოფილიყო?!

თუ კი როდისმე გაუხეკილ ჟილეტის ჯიბეში უწყყადა რამე, ხელოაშლილი იყო და დაუზოგველოდ უმასპინძლდებოდა თავის მრევლთაგანს.

ყოველ ასეთ შემთხვევაში, უნდა ვიგულისხმობთ, რომ ქოსას რაიმე მოხერხებული ოინბაზობა, ან უფრო დარბაისლურად რომ ვსთქვათ, კომბინაცია, მოხერხებინა და ძვირფას ნაცნობის ჯიბიდან თავის საწყალ ჯიბეში გადმოელო მოჭარბებული ხელის ქუქუკი.

საგულისხმო რამ სანახავი იყო ქოსა, როდესაც დილით, გაბრუებული თავით, გაფხეკილი ჯიბით, სახლიდან გამოვიდოდა, კარიბჭესთან გაჩერდებოდა და სადღეისო გეგმის შემოქმედებაში იყო ქართული. შექმუხენილ წარბებზე წამოწეული ქუდით, თვალზე მოჭუტული, ტუჩებ-შეკბენილი, ცხვირ-გაწვდილი სივრცეს უახლოვდებოდა გასცქეროდა— ნამდვილ მოაზრე ადამიანს ემსგავსებოდა.

— А въ волнахъ ничего не видно... ничего не видно..

ჩაილაპარაკა ქოსამ, გატეხილი პაპიროსი ამოიღო და კოწინება დაუწყა. გაქნილი ტეინი კი დამშეულ კუქის საზრუნავში იყო გართული.



— Aaa!.. ვოტ რыбка то моя золотая!  
 — ღიმილით ჩაილაპარაკა, შუბლი ზევით ასწია ტურნები შეიწუწუნა, თითქოს ორთქლში გამო-სული ზუთხი ჩაეტკბანურებინოს, ქუდი ვაშ-ლილ შუბლს ააცილა, რომ დილის სიომ იმა-

საც აგემოს სიგრილის სიამე და ბეჯითი ნაბიჯით გასწია.  
 საით?  
 ევ ქოსამ იცოდეს.

ნარკანი

# სათეატრო



# მიმოხილვა

## ხონის წარმოდგენები

ხონში ზაფხულბოთ წარმოდგენების საქ-მე კარგად არის მოწყობილი. ამ საქმეს უძღვება ხელ-მე ერთი წლით არჩეული დრამატული ჯგუფის გამგეობა. ჯგუფის გამგეობის მოვალეობას მსახიობ-თა მოწყვეტა და წარმოდგენებზე მორაგი გამგეობის გაწევა. გამგეობის წევრებს ინტელიგენტთა საზო-გადო კრება უფრავდ გაზაფხულზე ირჩევენ.

გამგეობა ჩვეულებრივად სეზონის ანგარიშს სეზონის გათავების შემდეგ აქვეყნებს. წელს ასეთი ანგარიში არ გამოუქვეყნებიათ და ეს არ არის კარგი. სასურველია ამ ანგარიშის გამოქვეყნებას დასაჩქარებდნენ.

გამგეობის წევრთა შორისაც არ ყოფილა სრული თანხმობა. ერთმა წევრმა მითხზა: სეზონი გათავ-და, ახალი სეზონი უნდა დაიწოს და არამც თუ საზოგადოებამ, არამედ გამგეობის წევრმაც კი არ ვიცი ანგარიშით: არ მიძახან და რაიმე საქმის შესახებ არაფერს არ შეკითხებინანო. აქ იმის განხილ-ვაში არ შეგად, თუ ვინ არის მართალი, ვინ მტყუანი, ხოლო იმას კი ვიტყვი, რომ არაა სასურველი ასეთი განწყობილება გამგეობის წევრთა შორის.

დროა გამგეობამ წარსული სეზონის ანგარიში გამოაქვეყნოს და მომავლის შესახებ ზრუნვას შეუ-დგეს. როგორც გავიგე წარსულ წელს დეიტიტი უფრო და ამ დეიტიტს შესახებაც უნდა მოილა-პარაკონ.

— 28 თებერვალს ხონში სარაჯიშვილმა გა-მართა კონცერტი. კონცერტს ხალხი ბლომით და-ესწრო. საზოგადოებაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახ-დინა იმ გარემოებაში, რომ სარაჯიშვილმა ჯერ იტა-ლიურად, შემდეგ რუსულად და ბოლოს ქართულად იმღერა. ხალხში ისმილად ხშირია: ქართული, ქართულია და სარაჯიშვილმა ამას უური არ ათხივავა.

## ქართული თეატრის 1913/14 წ. ზამთრის სეზონი

1913/14 ქართული თეატრის ზამთრის სეზონი დაიწყო ქართ. დრამ. საზ. სახლმა გამგეობამ. პირ-ველი სეზონი გავრცელდა ხუთ თვეს, 1913 წ. 15 ენკენისთვიდან 1914 წ. 15 თებერვლამდე. გაიმართა 57 წარმოდგენა (განმეორდა 8 ზეისა). წარმოდგენილ ზეისთავან ორიგინალური იყო 20, ნათარგმნი 21 (ძველი 24, ახალი 15). წლე-ვახდელი სეზონი პარაქიანი აღმოჩნდა: შემოსავალი იყო 21325 მ. 46 კ. სულ დაესწრო 31806, — ორთაშუა რიცხვით 558. „სინათლე“ დაიდგა 18—ჯერა. ამ 18 წარმოდგენის შემოსავალი იყო 9462 მ. 68 კ. სულ დაესწრო 12537 (ამ რიცხვში) შედის 4 წარმოდგენა ქუთაისში „სინათლე“, რომელზედაც დაესწრო 2441; შემოსავალი იყო 2362 მ. 92 კ. რეჟისორებად იყვნენ: ვ. ს. ალექსი-შესი-შვილი, ვ. ი. შაღვიკაშვილი და მ. ფ. ქორძე (ქორელი). ვ. მესხიშვილმა თითქმის შუა სეზონშივე მანება თავი; შემტეს წლად ვ. შაღვიკაშვილი რეჟი-სორობდა.

## ორი სიტყვა ბათუმის ქართულ დასზე

ეს ორი წელიწადია ბათუმშიც განხდა მუდმივი ქართული დასი და ამითი ქართულ სათეატრო ხელოვ-ქნებას ახალი მკვიდრი „ტეირტორია“ შექმნა. დამუშრობებით და აღმოჩენებით ამ „ახალი ამურაიას“, როგორც მოსალოდნელი იყო, იყვნენ ახალგაზნად მსახიობნი ქართული სცენისა, რომელ-თაც თვის თავს პირველ ხანებში „მოგზაურნი“ უწოდეს: „მოგზაურნი“ დასის აზრი იყო სამსახური ტაქვია დასავლეთ-საქართველოს დაბა-ქალაქებისთვის და პირველ ხანებში რამდენჯერმე შემოიარა კიდევ გვე-ლხა თვალსწინა ადგილი; თვით ნოფორისაშიც კი გა-მართა რამდენიმე წარმოდგენა. ხოლო საქმემ დასახსვად დასს, რომ იყენი უფრო ბათუმში მოკვამრების,

თეეოს.

რადგან სხვაგან მოგზაურობას ისეთი ხარჯი მისდევდა თან, რამელსაც „მოგზაურის“ თხელი ჯიბე ვერ გაუძლებდა და მასაც, როგორც იტყვიან, დუხა პათუმის საფოსტოდას მიაშავრას.

ამითი არც ერთი მისრე არ მოტუებულა. საქმე ისე წინ წაიდა, რომ თვით პათუმის საზოგადოებამ მოინდომა შემდეგშიც დასის ყოფა და ამ მიზნით დაასრსა „პათუმის ქართული დრამატული საზოგადოება“. ამგვარად საუკუნო საძირკველი ჩაეყარა პათუმის ქართულ თეატრის საქმეს.

წრელსაც, მიუხედავად იმის, რომ საზოგადოებამ ზარალი ნახა, განსრსუფია მიუცადებლად შესდგეს მომავალი სეზონი და ამისთვის უკვე საჭირო ზომებიც არის მიღებული.

გუსურვებით ჩვენს შორეულ მოძმეებს სრულეს გამარჯვებას ამ წმინდა და ცოცხალ კულტურულ საქმეში.

◆ **ქართ. დრამ. დასის მოგზაურობა**, „სინათლით“.— ქართულ დრამატ. საზოგადოების გამგეობას, თურმე, მრავალი წინადადება მოსდის პროვანციებიდან, რომ ი. გედევანიშვილის პიესა ზღაპარი „სინათლე“ დანახონ. გამგეობას აზრად აქვს შემოიაროს ამ პიესით შემდეგი ადგილები: ბათუმი, ფოთი, სოხუმი, განჯა და ბაქო.

◆ **მწერალს შალვა დადიანს** დაწყებული აქვს ახალი ორიგინალური სამ-მოქმედებიანი დრამის წერვა, სახელწოდებით: „გეგეპკორი“, რომლის შინაარსი აღებულია სამეგრელოს წარსული ცხოვრებიდან.

◆ **გ. ს. დავიდიშვილის გრამოფონის ფირმის** მოუწევია მამულ-ალი შპის სამეფო კარის თეატრანული მომღერალი აბულ ჰასან-ხანი გრამოფონის ფირფიტებზე დასამღერებლად. მომღერალთან ერთად თარზე უკრავს გამომჩენილი დავროშხანი, ქიანურზე-ბალირ-ხანი ზარბეზე—აზდულა-ხანი. ამითან ერთად დამღერის აგრეთვე თეატრანის გამ-ჩენილი მომღერალი თაქეს-ხადე.

ფირფიტებზე დამღერებისთვის ესენი ჯილდოდ იღებენ 22,500 მან.

◆ **ქუთაისის დრამატულ. საზოგადოების გამგეობა** უკვე შესდგომია საგაისო სეზონისთვის მზადებას. როგორც გადმოვცეცეს ზოგიერთ პირებთან კილედ დაუწყვია მოლაპარაკება.

„ახალი კლუბი“ წარმოდგენებს სევრსკის მონაწილეობით დიდი ზარალი მიუცია კლუბის კასისთვის. საზოგადოთ „ახალი კლუბის“ მამასახლისებ-მეტრსმეტად ცალმხრივად იქცევიან და რუსულ აპრეტისა და მასონეტის ტრფილაში ქართულ ხელოვნებას იფიწყებენ.

◆ **ქართული დრამ. საზოგ. წლიური კრება** განსრახულია მოწვეულ იქმნას მისში, რადგან წლიური ანგარიში თავდება აპრილის დამლევს. გამგეო უკვე შესდგომია თავის მოქმედების ანგარიშის მზადებას.

◆ **ქრისტიანე (ჩიტო) შარაშიძის ლექციამ**— „ქართველი ქალი ახალ ქართულ მწერლობაში“, რომელიც 2 მარტს, კვირა დილით, ქართულ თეატრში წაიკითხა, ფრიად შინარსიანი გამოდგა და საზოგადოებაზე მოთბებლდება მოახდინა. სასურველია გამოიცეს.

◆ **სახალხო სახლმა კოტე ყიფიანის** 45 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილე გადინა და 4 მარტს, იყო მილოცვები და საჩუქრებიც.



თბ. ქართ. საამხანაგო მომღერალ-მაგლობ. გუნდი, დაარსებული 1910 წ. მის. კავსაძის მიერ მომავალ კონცერტების გამო ბანჯა-ბაქოში.